

100 ათას ლარს არ აღემატება, ანუ იმ მაქსიმუმს, რაც საარჩევნო კოდექსის თანახმად ერთ ოურიდიულ პირს შეუძლია გადარიცხოს რომელიმე საარჩევნო ანგარიშზე.

გარდა იმისა, რომ ასეთი ვითარება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ხელისუფლებას და ოპოზიციას საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს, ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ფასების ზრდა. ბიზნესს სხვა გზა არა აქვს და ის პოლიტიკურ ინვესტიციებში ჩადებული თანხის უკან ამოღებას ცდილობს. გაღებულ თანხას ნაწარმოები პროდუქციის თვითღირებულებაში აქცევს და ეს ხდება პროდუქციის გაძვირების ერთ-ერთი მიზეზი. „რადგან საარჩევნო პერიოდი ჯერ არ დამთავრებულა, ბიზნესს კიდევ მოუწევს პოლიტიკური ინვესტიციების გაღება. შესაბამისად ეს ყველაფერი ფასებზე აისახება. პირველ რიგში, ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე გაიზრდება“, - აღნიშნავს ექსპერტი ვია ხუხაშვილი.

როგორც უკვე ითქვა, ბიზნესის მიერ საარჩევნოდ გაღებული თანხების თაობაზე განსხვავებული ვერსიები არსებობს. „ოფიციალურად, ბიზნესისაგან არჩევნებზე დახარჯულმა ფულმა 22 მილიონი შეადგინა“, - აღნიშნავს საერთაშორისო სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს წევრი გიორგი ისაკაძე. დასახელებულ თანხას სასაცილოდ მიიჩნევენ ოპოზიციის წარმომადგენლები. როგორც ლეიბორისტები აცხადებენ, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობა არა დეკლარირებული 22 მილიონი ლარი, არამედ 1 მილიარდი ლარი დაჯდა, რომლიდანაც მმართველმა პარტიამ – „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქვეყნის უმსხვილეს კომპანიების წინასაარჩევნოდ 650 მილიონი ლარი წაართვა.

ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბიზნესი დაშინებულია და ამ თემაზე ბიზნესმენები ღიად საუბარს ერიდებიან. როგორც ერთ-ერთმა ბიზნესმენმა ჟურნალისტთან საუბარში აღნიშნა, წინააღმდეგობის შემთხვევაში „აუცილებლად შესაძლებლად შემოვლენ, რაღაც მიზეზს აუცილებლად ეპოვიან, დაგვლუქავენ, სასამართლო პროცესები წლობით

გავრძელებს და საბოლოოდ, ბიზნესის მფლობელი ციხეში აღმოჩნდება, შენი ბიზნესი კი მოკვდება. ამიტომ, წინააღმდეგობას აზრი არა აქვს“.

ღიად ამას ბიზნესმენები არ ადასტურებენ. უფრო მეტიც, რიგი ბიზნესმენები ამბობენ, რომ მთავრობას მათთვის ფული არასოდეს წაუერთმევია, მათ შორის წინასაარჩევნო პერიოდში. „სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე ბევრი ჭორი მეც მსმენია, მაგრამ უშუალოდ არც ერთი ბიზნესმენი არ მინახავს, რომელიც მსგავსი პრობლემის წინაშე მდგარა. შესაძლოა ბიზნესმენტა ნაწილს სურდეს კეთილი ნება გამოხატოს ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ, მაგრამ არასოდეს გამივია, ბიზნესმენებისთვის მთავრობას ფული ძალით ჩამოერთმია“, - აღნიშნავს საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი ფადი ასლი.

ამ თემაზე მეტს ვერც ვერაფერს გავიგებთ, მხარეები კვლავ თავიანთ თვალსაზრისზე დარჩებიან. ბიზნესზე განაწყენებულმა ოპოზიციამ კი მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა და რამდენიმე ადგილობრივ კომპანიას, რომლებიც, მათი აზრით, მთავრობის მსხვილი დამფინანსებელია, ბოიკოტი გამოუცხადა. ოპოზიციამ თავის მომხრეებს მოუწოდა არ შეიძინონ მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია. ეს პირველ რიგში გამაგრირებულ სასმელებს – „კოკა კოლას“ და „ნატახტარს“ შეეხო. პროტესტის ამგვარი ფორმა ბიზნესმენებმა მიუღებლად მიიჩნიეს და ოპოზიციას მისი შეწყვეტისაკენ მოუწოდეს.

უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის მხრიდან ბიზნესის გაძლიერებული კრიტიკა ბიზნესმენებს აიძულებთ მოლაპარაკებები გამართონ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებთან. მათთვის მთავარია ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური ბრძოლა ნაკლებად მტკივნეული იყოს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებისათვის და ბიზნესს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას არ ართმევდეს.

მალხაზ მაცაბერიძე

# რას გვპირდება მთავრობა თავისი ახალი რეგულაციური საკანონმდებლო ინიციატივით

## კანონპროექტი მაკროეკონომიკური რისკების შემცველია

საქართველოს მთავრობა ალბათ ვერ წარმოიდგენდა, მის საკანონმდებლო ინიციატივას „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ და თანმდევი კანონპროექტებს ასეთი ვნებათაღელვა და წინააღმდეგობა მოყვებოდა. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ეს თემა ოპოზიციის ყურადღების მიღმა და პარლამენტში 19 თებერვალს კანონპროექტს პირველი

მოსმენით კენჭისყრისას მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე – ლადო პაპავა გამოუჩნდა.

არადა, ახალი კანონებისა და არსებულ კანონებში ცვლილებების თითქმის 250-გვერდიანი პაკეტი, პრემიერ-მინისტრ ლადო გურგენიძის განმარტებით, რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს ემსახურება. პირველი – ეს არის საქართველოს ეკონომიკის სწრაფი და სტაბილური ზრდა;

გარდა ამისა, კანონი საფუძველს ჩაუყრის საქართველოში საერთაშორისო კონკურენტუნარიანი საფინანსო სექტორის შექმნას და ფაქტობრივად, საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციას შემდეგი რამდენიმე წლის მანძილზე.

მისივე თქმით, ამ პაკეტით ასეთი პოზიტიური სისტემის მისაღწევად საფუძვლის ჩაყრა ხდება 4 ძირითადი კომპონენტით. პირველია ცვლილებათა ის ერთობლიობა, რომელიც საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ცენტრად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს; მთავრობის გამოთვლებით, კანონთა პაკეტის ამოქმედებიდან ხუთიოდე წელიწადში 10-12 მილიარდი დოლარის აქტივების აკუმულირება მოხდება მხოლოდ ამ საფინანსო ცენტრის მასშტაბით. ეს ნიშნავს ათასობით ახალ და მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს, ასობით ახალ ბიზნესს. გარდა ამისა, შიდა საბანკო სექტორის განვითარება გაგრძელდება.

მეორე კომპონენტია საგადასახადო რეფორმა, რომელიც შემდეგი რამდენიმე წლის მანძილზე საგადასახადო წნეხის მნიშვნელოვან შემცირებას ითვალისწინებს; მესამეა ბევრად უფრო ეფექტიანი და გამჭვირვალე საფინანსო ზედამხედველობის ინსტიტუტების შემოღება და მეოთხე, პროფიციტული ბიუჯეტი, რომელიც საკანონმდებლო ძალით დამკვიდრდება, ანუ მომავალში მთავრობა დეფიციტურ ბიუჯეტს ვეღარ შემოიტანს, ხოლო ეროვნული ბანკის უმთავრესი მიზანი იქნება ფასების სტაბილურობის შენარჩუნება, ინფლაციის მოთოკვა და მისი ერთნიშნა ნიშნულზე შენარჩუნება.

კანონპროექტის მიხედვით, იზრდება ეროვნული ბანკის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ. კერძოდ: თუკი სამი მიმდევრობითი კვარტლის მანძილზე ეროვნულმა ბანკმა ვერ შეინარჩუნა ინფლაციის განსაზღვრული დონე და ინფლაციამ 1 წლის მანძილზე მანძილზე დაგეგმილს 2%-ით გადააჭარბა, მაშინ პარლამენტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ ნდობის საკითხზე იმსჯელებს; ხოლო თუ სამი კვარტლის მანძილზე ინფლაციამ შეადგინა 12%-ზე მეტი, მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ავტომატურად ტოვებს თანამდებობას.

რაც შეეხება პროფიციტს, ანუ ჭარბ თანხებს, რომელიც ბიუჯეტში პროფიციტულობის შედეგად გროვდება, შეიქმნება 2 ახალი ფონდი (სტაბილური განვითარების ფონდი და მომავალი თაობების ფონდი), სადაც ხდება როგორც პროფიციტის, ასევე პრივატიზაციიდან მიღებული თანხების დაგროვება.

სტაბილური განვითარების ფონდს მართავს ეროვნული ბანკი და მიმართულია იმაზე, თუკი ეკონომიკის დაცემა დაიწყება, მაშინ ფონდიდან მოხდება დაგროვილი თანხების მომენტალური გამოყენება. მომავალი თაობების ფონდში აკუმულირებული თანხები ძირითადად გამოყენებული იქნება ქვეყნის ტერიტორიული გათლიანების შემდეგ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაცია-რეინტეგრაციაზე; მეორე შემთხვევა, როცა შეიძლება ამ ფონდიდან ფულის ხარჯვა, ესაა თუკი ქვეყანაში საომარი ვითარებაა და მესამე, თუკი მოხდა ბუნებრივი კატასტროფა, რომელიც თავისი ზარალით მშპ-ის 10%-ს ან უფრო მეტს შეადგენს.

**„მს კანონი მართლაც რეკომენდებულია, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით“**

19 თებერვალს პარლამენტის ვებ-გვერდზე ლადო პაპავას შემდეგი კომენტარი განთავსდა:

„კანონპროექტთა პაკეტი „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ რამდენიმე კანონპროექტისგან შედგება. თუმცა თავად ეს კანონპროექტი არის განმარტებითი ბარათი სხვა კანონების მიმართ, რომელსაც რეგულირების სფერო არ აქვს განსაზღვრული.

რაც შეეხება „ეროვნული ბანკის შესახებ კანონში“ შესატან ცვლილებებს, ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ თუ პარლამენტმა ეს კანონი მიიღო, საქართველო უარს იტყვის დამოუკიდებელი ეროვნული ბანკის არსებობაზე, რაც ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. აღნიშნული კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოქმედ მუხლებს. ეს კი ადასტურებს მთავრობის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას არა მარტო კანონების, არამედ კონსტიტუციის მიმართაც. თუმცა, ამავე კანონპროექტში არის რამდენიმე საინტერესო მოსაზრება, რომლებიც უცხოური საფინანსო კომპანიების სტიმულირებას ისახავს მიზნად. მთლიანობაში კი, ეს კანონპროექტი მართლაც რეკომენდებულია, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პაკეტის განხილვაში ოპოზიციას მონაწილეობა არ მიუღია. მხოლოდ ზურაბ ტყემალაძე ესწრებოდა, როდესაც ეს პაკეტი პირველი მოსმენით იხილებოდა, თუმცა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 7 თებერვლის სხდომაზე და 14 თებერვლის პლენარული სხდომაზე პროტესტის ნიშნად დატოვა. გარდა ამისა, კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციონერი დეპუტატის აღშფოთება იმანაც გამოიწვია, რომ საკითხი განსახილველად გამოიტანა არა პრემიერ-მინისტრმა ან თუნდაც რომელიმე ეკონომიკური პროფილის მინისტრმა (სხდომას არც ერთი მათგანი არ დასწრებია), არამედ მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გაია ხუროშვილმა. ხუროშვილი კი იურისტი გახლავთ და ტყემალაძის აზრით, ეკონომიკურ საკითხებში არაკომპეტენტურია. პლენარული სხდომა ასევე პროტესტის ნიშნად დატოვა ლადო პაპავამ, მიუხედავად იმისა, რომ მას ხუროშვილმა მთავრობის სახელით ამ დოკუმენტზე ერთობლივი მუშაობა შესთავაზა.

პაპავას განმარტებით, მან შესანიშნავად იცის, რომ საერთოდ, უმრავლესობის ფრაქციაში თანამშრომლობა უფრო ფიქციაა, ვიდრე რეალობა და მით უფრო დღეს, როცა იგი აღარ არის ფრაქციის წევრი. მთავრობასთან მხოლოდ მაშინ შეიძლება ითანამშრომლოს, თუ მთავრობა „ეროვნული ბანკის შესახებ ცვლილებების კანონპროექტს“ მოხსნის. საქმე ის გახლავთ, რომ ამ პარლამენტს სასესიო მუშაობის სულ რამდენიმე კვირა დარჩა და მისაღები აქვს რამდენიმე ცვლილება (მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაში), რომელიც საარჩევნო კანონმდებლობას ეხება; ასევე ცნობილია, რომ საპარლამენტო ოპოზიცია არ აპირებს არცერთი საკითხის განხილვაში მონაწილეობას, რომელიც არ ეხება გაერთიანებული ოპოზიციის მემორანდუმის შესრულებას. ასე რომ, ეროვნული ბანკის კანონში შესატან ცვლილებებზე მუშაობა ოპოზიციას არ აინტერესებს. ასევე

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ ბანკს ამჟამად პრეზიდენტი არ ჰყავს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის – დავით ამალლობელის პროფესიონალიზმში პაპავა დარწმუნებულია, მაგრამ რადგან ამალლობელი არის ეროვნული ბანკის არა პრეზიდენტი, არამედ მხოლოდ მოვალეობის შემსრულებელი, იგი ინსტიტუციონალურად ძალზედ სუსტი ფიგურაა და ამიტომ შეიძლება ძალიან ადვილად დაიფლიონ ისეთ საკითხებზე, რომელიც საზიანო იქნება როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე მთლიანად სახელმწიფოსათვის. ამიტომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დღეს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მიზანშეწონილი არ არის.

პაპავამ საკომიტეტო მოსმენაზეც და პლენარულ სხდომაზე გურგენიძისგანაც მოითხოვა პასუხი კითხვაზე: რა ხდება დღეს ფულად-საკრედიტო სფეროში ისეთი, რამაც ბიძგი მისცა მთავრობას, რომ ეს პაკეტი მომზადებულიყო? რაკი მიღებული პასუხები დამაჯერებელი არ აღმოჩნდა, დეპუტატმა საკუთარ კითხვას თავადვე გასცა შემდეგი პასუხი. ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“ 1995 წელსაა მიღებული. მას მერე საქართველოს ჰყავდა ეროვნული ბანკის 3 პრეზიდენტი (ნოდარ ჯავახიშვილი, ირაკლი მანაგაძე და რომან გოცირიძე) და სამივეს უპირისპირდებოდა იმ დროის პოლიტიკური ელიტა, მთავრობა, საპარლამენტო უმრავლესობა. ყველანაირი მეთოდებით ებრძოდნენ და ებრძოდნენ იმიტომ, რომ ეროვნული ბანკი არ ყოფილიყო დამოუკიდებელი იმ დოზით, როგორც კანონით იყო განსაზღვრული. ებრძოდნენ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას, თუმცა იქიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს რა შეცდომა ჰქონდა დაშვებული ან რა შეცდომა მიაწერეს, ბრძოლაც სხვადასხვა ფორმას იღებდა.

როგორც ჩანს, ეს ბრძოლა ისევ გრძელდება. კერძოდ, 2006 წლის გაზაფხულზე კახა ბენდუქიძემ ფინანსურ სფეროსთან დაკავშირებით მოამზადა კანონპროექტთა პაკეტი, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო ეროვნული ბანკის დასუსტება და საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გატანა ეროვნული ბანკიდან. რა თქმა უნდა, ამას შეეწინააღმდეგა თვითონ ეროვნული ბანკი, მისი იმდროინდელი პრეზიდენტის რომან გოცირიძის სახით; მაგრამ ყველაზე მეტად საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის და მისი თავმჯდომარის – ირაკლი კოვხანაძის დამსახურებაა, რომ მაშინ საბანკო ზედამხედველობა არ გავიდა ეროვნული ბანკის ფუნქციებიდან.

შემდეგ მთავრობამ და უმრავლესობამ მოქმედების ტაქტიკა შეცვალეს და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით კი არ შემოვიდნენ, არამედ დადგა საკითხი ეროვნული ბანკის ანგარიშის დამტკიცება-არდამტკიცების შესახებ, რითაც ზიანი უნდა მიეყენებინათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტისთვის. ამ პოლიტიკურ დაპირისპირებაში პარლამენტმა არ დაამტკიცა ეროვნული ბანკის ანგარიში, რომან გოცირიძემ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და გადადგა (თუმცა, სამართლებრივად არ იყო ვალდებული ეს გაეკეთებინა). მერე ახალი შტურმი წამოვიდა ეროვნულ ბანკზე. 2007 წლის შემოდგომის დასაწყისში დაისვა საკითხი, ქვეყნას ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ სჭირდება და ეროვნული

ბანკის ნაცვლად სავალუტო საბჭო უნდა შეექმნათო. ეროვნული ბანკის, როგორც ინსტიტუტის, გაუქმების პროექტი უკვე მზადდებოდა, მაგრამ ნოემბრის მოვლენებმა ამ პროექტის რეალიზაციას ხელი შეუშალა და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა.

დეპუტატის თქმით, ის გეგმა კი ჩაეშალათ, თუმცა სხვა, უფრო უარესი სქემა შეიმუშავეს. ეროვნული ბანკი ფორმალურად რჩება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფორმალურად ისევ მისი პრეროგატივაა და ეროვნულ ბანკს თავისი ხელმძღვანელი ეყოლება, მაგრამ ეროვნული ბანკი ქმნის ორ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს: საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს და ფინანსური მონიტორინგის სამსახურს (პროექტის პირვანდელი ვარიანტით, ეროვნულ ბანკთან იქმნებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო და ამ სააგენტოსთან იქმნებოდა ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ანუ მივიღებდით რუსული „მატრიოსკის“ ტიპის ერთმანეთში ჩაწყობილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს). ჩვენი მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაქვემდებარებას სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ, ამიტომ ამავე პაკეტით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე კანონში შედის ცვლილება, რომელიც უშვებს ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მეორე საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებას (როგორც პაპავამ შენიშნა, გურგენიძემ მოახერხა ჩვენი ოურისტების დამარცხება, რაც ძალიან კარგია, იმიტომ რომ ეს აქამდე აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო).

პაპავას განმარტებით, ეროვნული ბანკის დასუსტება კიდევ იმაში გამოიხატება, რომ თუ ეროვნულმა ბანკმა 3 კვარტალის განმავლობაში ვერ გაართვა თავი ამ კანონით დადგენილ 12%-იან ინფლაციის ზღვარს და ინფლაცია იქნება უფრო მაღალი, მაშინ მისი როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს ფინანსთა მინისტრი. აქ არის საკმაოდ გაუგებარი მექანიზმი, რადგან ეროვნული ბანკი კონსტიტუციით განსაზღვრული ორგანოა და ფინანსთა სამინისტრო კონსტიტუციური ორგანო არ არის, ის, როგორც ინსტიტუტი, ჩნდება კანონში აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ. გამოდის, რომ თურმე არაკონსტიტუციური თანამდებობის პირს შეუძლია კონსტიტუციური თანამდებობის პირის უფლებებამოსილი საკითხის დაყენება! ეს სამართლებრივად ნონსენსია, ეკონომიკურად კი ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი ქალაქზე იქნება დამოუკიდებელი, თორემ სინამდვილეში ხდება იმ რანგის ორგანო, როგორც არის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი დეპარტამენტი, ხოლო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იქნება დეპარტამენტის დირექტორი.

საინტერესოა, რომ მთავრობის ინიციატივის შესახებ ეროვნული ბანკის დასკვნა, რომელიც ამ ინსტიტუტიდან პარლამენტში შევიდა, საკმაოდ მკაცრია, რასაც ვერ ვიტყვით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ამალლობელის გამოსვლასთან დაკავშირებით. დავით ამალლობელისთვის მისაღებია ეროვნული ბანკის მოწყობის

მთავრობისეული მოდელი. მისი თქმით, დღევანდელი მოდელი ინტერესთა კონფლიქტის შემცველია. პაპავასთვიის უცნობია, რა ინტერესთა კონფლიქტზეა საუბარი და კითხულობს: თუ ინტერესთა კონფლიქტი იყო, აქამდე რატომ სდუმდა ეროვნული ბანკი და იგივე ბ-ნი ამაღლობელი? ყოველ შემთხვევაში, თუ არსებობს ასეთი ინტერესთა კონფლიქტი ეროვნულ ბანკში, მისი ინსტიტუციონალური გამოსწორება მისასაღმებელია, მაგრამ ეს ნაჩქარევად არ უნდა გაკეთდეს. ეს კანონპროექტი განხილული უნდა იყოს, როცა არჩეული იქნება ახალი პარლამენტი, სადაც უკვე არავინ იჩქარებს და რაც მთავარია, ყველა დეტალი და ნიუანსი იქნება განხილული.

**შისაქმლეთ საფინანსო-საბიუჯეტო  
კომიტეტმა ალტერნატიული  
წინადადებები დააყენოს**

პლენარულ სხდომაზე ამ საკანონმდებლო პაკეტის პირველი მოსმენით განხილვა 14 თებერვალს, კენჭისყრა კი 19-ში გაიმართა. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ აღნიშნა, რომ ზოგადად კომიტეტი მხარს უჭერს ამ ცვლილებათა განხორციელებას, თუმცა განსხვავებული ხედვა აქვს მთელ რიგ საკითხებზე და უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ბანკთან დაკავშირებულ საკითხზე. ფაქტობრივად, ეს კანონპროექტი არის არა ცვლილებები ეროვნული ბანკის კანონში, არამედ ახალი კანონპროექტი, რადგანაც ყველა თავი და თითქმის ყველა მუხლი ახალი რედაქციითაა ჩამოყალიბებული. კანონპროექტი თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მთელ რიგ ნორმებს. თუმცა გურგენიძემ თქვა, რომ გარკვეულ ცვლილებებს შეიტანენ და შესწორებულ ვარიანტში ეს წარმოდგენილი იქნება. პროექტი არ ითვალისწინებს ქვეყანაში განსახორციელებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, რაც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილში. კომერციული ბანკების საქმიანობაზე სახელმძღვანელო ფუნქციის გამოტანა ეროვნული ბანკის უშუალო ფუნქციებიდან და ამ ფუნქციის გადატანა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოში ასუსტებს ეროვნული ბანკის, როგორც ბანკთა ბანკის სტატუსს და აკნინებს მის ინსტიტუციონალურ დატვირთვას.

საქართველოს კონსტიტუციით, ეროვნული ბანკი ყოველწლიურად წარადგენს საქართველოს პარლამენტში თავისი საქმიანობის ანგარიშს. კანონპროექტით კი ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს ანგარიშს მხოლოდ ცნობის სახით წარუდგენს, რაც კომიტეტისთვის მიუღებელია, რადგანაც ეროვნული ბანკი წარმოადგენს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს და მისი ანგარიში ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებას.

პროექტში აღარაა შეტანილი პუნქტები ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს პარლამენტის ინფორმირების აუცილებლობაზე საერთაშორისო რეზერვების დონის შემცირებასა და მისი დაძლევის დონისძიებების შესახებ. ამგვარი ინფორმირების ვალდებულება კანონში

აუცილებლად უნდა დარჩეს.

კომიტეტის აზრით, კანონპროექტში უნდა გაძლიერდეს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ეროვნულ ბანკთან ინსტიტუციური კავშირისა და დამოკიდებულების საკითხი. სააგენტო უნდა განისაზღვროს როგორც ეროვნული ბანკისადმი ანგარიშვალდებულებები. აღნიშნულის გარდა, საჭიროა, კანონში აისახოს ეროვნული ბანკის ვალდებულება, რომ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში აგრეთვე შევიდეს ინფორმაცია საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობაზე.

კომიტეტს პრობლემურად მიაჩნია ქვეყანაში ფასების სტაბილურობასთან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პერსონალური პასუხისმგებლობის ასეთი ხისტი დაკავშირება, ვინაიდან ფასების სტაბილურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არა მარტო ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკასთან, არამედ მთავრობის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედ გარე ფაქტორებსა და გამოწვევებზე.

ეგზოგენური (გარეშე) კონტროლი ეროვნული ბანკის შესაძლებლობების მიღმაა. ამასთან, ამ ფაქტორებით გამოწვეულ ინფლაციას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის წლიურ ინფლაციაში. ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით მოკლევადიან პერიოდში გარეშე ფაქტორებით გამოწვეული ინფლაციის შემცირების მცდელობამ შეიძლება სერიოზულად და გაუმართლებლად დაზიანოს ქვეყნის ეკონომიკა და შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა მომავალში. შედეგად ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობრივი პასუხისმგებლობა არ დადგება, თუმცა მნიშვნელოვნად დაზარალდება თვითონ ქვეყნის მოსახლეობა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და ეროვნული ბანკი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შექმნილი ინსტიტუტი, ინფლაციის საკითხებთან დაკავშირებით უშუალოდ უნდა იყოს ანგარიშვალდებული საქართველოს პარლამენტთან და არა საქართველოს მთავრობასთან მიმართებაში. ასევე მნიშვნელოვანია, თუ ვინ იანგარიშებს ინფლაციას, ანუ როგორი იქნება სტატისტიკის დეპარტამენტის ინსტიტუციონალური მოწყობა.

კომიტეტისათვის მიუღებელია აგრეთვე კანონპროექტის ის პოსტულატი, რომელიც ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შეყვანას ითვალისწინებს. ირაკლი კოვზანაძის განაცხადებით, ეს საერთაშორისო პრაქტიკას არ შეესაბამება და მსგავსი პრეცედენტი არსად არის.

21 თებერვალს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე კი უკვე დიდი ხმაური მოჰყვა მთავრობის ამ საკანონმდებლო ინიციატივის მეორე მოსმენით მუხლობრივად განხილვას, ვინაიდან მთავრობამ სრულად მხოლოდ ის საკითხები გაითვალისწინა, რომლებიც კონსტიტუციიდან გამომდინარე აუცილებელი იყო, ხოლო სხვა არსებითი შენიშვნები ყურად არ იღო. თავის მხრივ კონტროლის პალატის თავმჯდომარემ გააპროტესტა, რომ

მეორე მოსმენაზე წარმოდგენილ კანონპროექტში არც კონტროლის პალატის ის შენიშვნები და წინადადებები აისახა, რაზეც პირველი მოსმენისას შეთანხმდნენ. თუკი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გადაშუშავებული კანონპროექტები არ იქნება წარმოდგენილი, ირაკლი კოვზანაძე ალტერნატიული წინადადებების დაყენებას აპირებს. თებერვალი ისე დასრულდა, რომ მეორე მოსმენისთვის ჩასწორებული ვარიანტი მთავრობას ჯერაც არ ჰქონდა პარლამენტში შეტანილი.

### რა საფრთხეების შემცველია ეს კანონპროექტი

მთავრობის ინიციატივის მიღების შემთხვევაში ეროვნული ბანკი ფაქტობრივად „ეგოისტი“ ხდება. ეროვნული ბანკის ადმინისტრაცია, პრეზიდენტი, მონეტარული კომიტეტი, რომელიც იქ იქმნება და სხვა, ფაქტობრივად დაინტერესებული იქნებიან არა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობით, არამედ საკუთარი თავის გადარჩენით. ამის გამო მათ შეუძლიათ აწარმოონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ფინანსური სისტემისათვის დამანგრეველი შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, ეროვნულ ბანკს ფულის მასის შემცირების მიზნით შეუძლია კომერციული ბანკებიდან ლიკვიდობა ამოიღოს, ანუ კომერციული ბანკებისგან ფულის სესხება დაიწყოს და ეს ყოველგვარ გონივრულ ფარგლებს გადასცდეს. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს შესთავაზებს უფრო მიმზიდველ პროცენტს, ვიდრე ბიზნესი. რაკი კომერციული ბანკების მიერ ბიზნესისთვის სესხის მიცემა ყოველთვის არის დაკავშირებული რისკთან (მაკროეკონომიკურ რისკთანაც, თვითონ ამა თუ იმ საწარმოს მდგომარეობასთანაც, გირაოს ლიკვიდურობასთან და ასე შემდეგ), ამიტომ მათ ყოველთვის ურჩევენიათ ფული მისცენ ეროვნულ ბანკს, ვიდრე ბიზნესს. თეორიულად, ეროვნულ ბანკს შეუძლია კომერციული ბანკების მთელი ფული ისესხოს. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი ინფლაციის განსაზღვრულ დონეს ინარჩუნებს, მაგრამ ეკონომიკას ზღუდავს. კომერციულ სექტორში სესხები კატასტროფულად გაძვირდება.

მეორე, რაც ინფლაციის თავიდან ასაცილებლად ეროვნულ ბანკს შეუძლია გააკეთოს, არის ის, რომ მაქსიმალურად გაამყაროს ეროვნული ვალუტა. დღემდე ჩვენი ეროვნული ვალუტა ბუნებრივად მყარდებოდა და იმისათვის, რომ ძალიან არ გამყარებულყო, მას ეროვნული ბანკი ხელოვნურად „ასუსტებდა“. ამ მიზნით შარშან ეროვნულმა ბანკმა დაახლოებით 800 მლნ დოლარი იყიდა. ეს დოლარები რომ არ ეყიდა, დოლარის კურსის ლართან მიმართებაში კიდევ უფრო დაეცემოდა. ამგვარად, მაგრამ ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი მთავარ ტენდენციას იცავდა – ხელს უწყობდა ლარის გამყარებას, თუმცა ლარის კურსის ზრდა ბაზრის მოთხოვნისგან განსხვავდებოდა.

მაგრამ თუკი პირიქით მოხდება, ქვეყანაში ინვესტიციები არ შემოვიდა და ეროვნული ვალუტის შესუსტების პროცესი დაიწყო, ეროვნულ ბანკს შეუძლია დინების საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდეს და ნაცვლად იმისა, რომ ბაზრის ტენდენციას მისდოს – ეროვნული ბანკის რეზერვების ამოწურვის ხარჯზე დაიწყოს კურსის შენარჩუნება ან

გამყარებაც კი. ბანკის პრეზიდენტისთვის უკვე არავითარი ინტერესი არა აქვს, ეროვნულ ბანკს რამდენი რეზერვი ექნება. მისთვის მთავარია, რომ არ მოხსნან და ინფლაციის შენარჩუნებით ბაზარზე არარეალური კურსი დაამკვიდროს.

ეროვნული ბანკის მესამე ბერკეტი კომერციული ბანკების რეზერვები. ეროვნულ ბანკს ინფლაციის შესაჩერებლად თუ დასჭირდა, არავინ არ შეუშლის ხელს, რომ სავალდებულო რეზერვები, რომელიც დღეს არის 12%, გახადოს 50%.

ეროვნულ ბანკს ინფლაციის ასაცილებლად მხოლოდ ეს 3 ბერკეტი (სავალდებულო რეზერვები, კურსის გამყარება ან მანიპულირება და ლიკვიდობის ამოღება) აქვს, მეტი არ გააჩნია. ეს ბერკეტები ეროვნულ ბანკს დღემდე აქვს, მაგრამ ის აკეთებს სწორ ბალანსირებას და უკიდურეს ზომებს არ მიმართავს, ვინაიდან მისი ინტერესი ამ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ინფლაციის შემცირება. დღეს ინფლაციის შემცირებისათვის გასატარებელმა მკაცრმა ზომებმა შეიძლება ხვალ გამოიწვიოს ეკონომიკის შემცირება და საშუალო ადგილების შემცირება.

რაც შეეხება მეორე თემს, ჩვენ, საბედნიეროდ, საგარეო ვალს ნელ-ნელა ვამცირებთ. საქართველოში დიდი ინვესტიცია შემოდის და საგარეო ვალის აღება არ გვჭირდება. გარდა კუვეიტის კრედიტისა, არაკონცესიური საგარეო ვალი არასდროს აგვიღია. ვიღებდით 0,7%-იანს სავალუტო ფონდიდან და ასევე ძალიან იაფს (1 და 2%-იანს) მსოფლიო ბანკიდან. ახლა პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა, რომ მან უნდა აიღოს საგარეო ვალი ნახევარი მილიარდის ოდენობით. მართალია, იგი საგარეო ვალს არ ახსენებს და ამბობს, ევროობლიგაციები უნდა გამოვცეთო, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა ევროპის კერძო ბანკებისაგან ვალს იღებს და ამაში აძლევს თამასუქს, ანუ უშვებს ობლიგაციებს. ევროობლიგაცია არის სახაზინო ვალდებულება, რომელიც გადის ევროპის ბაზარზე; ევროობლიგაცია არის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება გარე წყაროებიდან. ანუ, ერთი მხრივ, ვლებულობთ კანონს უდეფიციტო ბიუჯეტის შესახებ, მეორე მხრივ კი ვიღებთ სესხს (თანაც, ეს სესხი იქნება კომერციული) ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად (მაგალითად, ბიუჯეტში ჩაიდება გაზსაცავის აშენება და ამას დააფინანსებს საგარეო წყარო), ეს აბსურდულია!

საქართველოს ეკონომიკა კომერციული ბანკი არ არის – კომერციულ ბანკს სჭირდება ფული და საქართველოს მთავრობას არ სჭირდება ფული, ვინაიდან პირიქით, უცხოური ვალუტის ჭარბი შემოდინება (ყოველ შემთხვევაში, სანამ ნოემბრის ამბები დაიწყებოდა, იყო). ბოლოსდაბოლოს, თუ ვალის აღება გვინდა, არსებობს უფრო იაფი ფულის შოვნის სხვა გზა, ვიდრე ევროპის ბაზარზე ობლიგაციების გაყიდვა.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ მთავრობის ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის განხილვა ამჟამად საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს, სხვადასხვა მაკროეკონომიკური რისკების შემცველია. იმედი ვიქონიოთ, რომ კანონმდებლები გაითვალისწინებენ ამას კანონთა პაკეტის საბოლოო სახით დამტკიცებისას.

დალი ჩიკვაძე